

1910 1910  
1910 1910

Nº 2



ԱՐԵՆԱԿԱՐԱՎՈՐ

1910



შარიაშ ივანეს ასული დემურია.

არიამ დემურია დაიბადა ქ. გორს 21 მარტს 1860 წ. შშო-  
ბლები ღარიბნი იყვნენ. მარიმს ორი ძმი ჰყავდა, რომ-  
ლებიც ნორჩობის დროს ვე გარდაიცვალნენ. რვა წლისა  
იყო, დედა რომ მოუკედა და ძალიან მწირე თბლობა გამო-  
იარა. პატარა მარიამს ზრდიდა მისი მოხუცი დიდიდედა. ჯერ  
გორში სწავლობდა ქრის პატარა სასწავლებელში. როდესაც  
15 წლისა გახდა, მამაც მო-  
უკედა. დიდიდედამ წამოიყვანა  
ტფილისს. აქ დაიწყო მზადება  
და შევიდა საბებო ინსტი-  
ტუტში. სწავლის გათავების  
შემდეგ, დაბრუნდა ისევ გორში  
და დაიწყო იქ მუშაობა. ყველ-  
გან დიდად სასარგებლო და სა-  
ჭირო იყო სახოვათოებისათვის.

შემდეგ სხვა-და-სხვა დროს  
სცხოვრობდა ქუთაისს, ოზურ-  
გვის და სახეორქეს. ცნობილი  
იყო, როგორც კოცხალის ხა-  
სიათის პატრიონი და საზოგადო  
მუშაობით გატაცებული აღა-  
შიანი. საზოგადოებაში გილი-  
სიყვარული და პატივისცემა  
დაიმსახურა.

საჩინოებები ყოფილი დროს გათხოვდა, მაგრამ ქმარი მაღა  
ვარდა ეცვალა და შემდეგ ტყილის გადმოვიდა თავის ორის



“ମେହିବାର ଦୟାନ କୁ ଏକ୍ସର୍‌ଲିଂ ଡେମ୍‌ବରର  
ଏକାଲ୍‌ଫାର୍ମଲିକପିଲ୍ ଫର୍ମ୍ସ୍.

პირველი ასპარეზი მისი იყო სახალხო წარმოდგენებისა და სახალხო კითხვების გამართვა. ამ საქმეზე მუშაობდა 15 წლის განმავლობაში. იმის მეტადინეობით, მეტებისა და საგუბერნიო ციხეებშიაც-კი გიორგი კითხვები. დაარსა ნაძალიდებში სამკითხველო და იღებდა დიდ მონაწილეობას ყველა საზოგადო საქმეში. თანამდებობრივობდა საყმაწვილო ფურნალ „ჯეჯილში“. ამ 6 წლის წინად შეუდგა ფურნალ „ნაკადულის“ რედაქტორობას. „ნაკადულში“ ათვესებდა თავის ნაწერებს, ორიგინალურსაც და ნოთარებნებსაც. მარიამი ნამდვილი მეცნიერი იყო ბავშვებისა. უყვარდა „ნაკადული“ სულითა და გულით და მუდამ იმის ზრუნვაში იყო, რომ ფურნალი ბავშვებისათვის საყვარელი და სახილებლო ყოფილიყო. თავის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდის გამუდმებით მუშაობდა რედაქტორი.

ამ უკანასკნელ დროს ივალ იყო გულის სიგანიქრის. საჭირო იყო დასვენება, მაგრამ მარიამს იმდენი საქმეები ჰქონდა, რომ დასვენებას ვერ ახერხდებდა და საჭმეს მაინც არ ჰლალატობდა. 20 იანვარს სამ საათამდის რედაქციაში, მუ- შაობდა. 3 საათის შემდეგ წავიდა სტუმრის თავის გულითად მეგობარ თევლე აბაშიძის ოჯახში, ღამე ივალ გახდა და 21 იანვარს განთიადისას გამოეთხავა წუთი სოფელს. დაახალია- ვეს 24 იანვარს. დიდალი ხალხი შეიკრიბა ჩულურეთის წმ. ნი- კოლონზის ეკკლესიაში, საღაც ყვავილებითა და გვირგვინებუ- ბით შემკული მარიამის ცხედარი ესვენა. წირვის გამოსვლის და ანდერძის აგების „შემდეგ, ცხედარი ეკკლესიიდან „ჩავალუ- ლის“ რედაქციის თანამშრომლებმა გამოსავენეს. ეკკლესიის გალავანში ნ. თავდგირიძემ წარმოსატევა გრძელებით ხავს სიტყვა და დახასიათა განსვენებულის სასარგებლო მოლფაწყობა. შემდეგ წაასვენეს კუკის წმ. ნინოს სახალიოზე. მიასვენებდნენ ქ-



ლებიც. სასაფლაოს ეკკლესიის წინ განსვენებულის პატიოლოგია გადაიღეს. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა, „ნაკადულის“ რედაქტორის დავალებით, ექიმში ვ. ლამბაშიძემ (მ სიტყვიდან ზოგიერთი აღვილები მოგვყავს ქვემოდ). სიტყვა წარმოსთქვეს აგრედვე: მუშების სახელით ერთმა მუშამ, კავკასიის ქალთა საზოგადოების სახელით ნინო ტუშელაშვილმა, ი. იმედაშვილმა, მღვდლ. კარბელაშვილმა და სხვებმაც. ცხედარი დამსაფლავებ ბავშვების მეორე მეობრის, ახალგაზრდა მწერლის და მოღვაწის, „ნაკადულის“ თანამშრომლის ვლადიმერ ლორთქიფანიძის მახლობლად. საქართველოს ყველა კუთხიდან მოვიდა მრავალი სამძიმრის დეპეშა და წერილი, აგრედვე რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდანაც.

გვირგვინები იყო:

1) „ნაკადული“-ს პატარა მკითხველებისაგან — ჩვენს დაუკიტარსა და ძეირფასს რედაქტორს.

2) „ნაკადულის“ რედაქტორისაგან — ბავშვების გულის მესაიდუმლები, მათს წრფელ მეგზარის და „ნაკადულის“ სულის ჩამიგმელს, საყვარელ ამხანაგს მარიამს.

3) გულით ლმობიერს და სულით მაღალს — თ. პილე თუმანიშვილისაგან. — „გულდამშვიდებული იყვავ, შენი ნათესი უწვდი შოგვცემს მოსავალს“.

4) ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობისაგან — „მარიამ დემურიას.“

5) გაზეთ „დროება“-საგან — „დაუცხრომელს მუშაქს მარიამ ივანეს ასულს დემურიას.“

6) ქართულ დრამატიულ საზოგადოებისაგან 1910 წ. 24 ინგარს, — დაულალი მუშაქს მარიამ ივანეს ასულს დემურიას.

7) ზუბალაშვილის სახლთან არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრისაგან — „სახალხო თეატრის დაუკიტარ მოამზეს მარიამ ივანეს ასულს დემურიას.“



8) სახალხო კითხვების საზოგადოება — „სახალხო მუნიციპალიტეტის ლების ასპარეზზე დაუღალავად მშრომელს მარიამ ივანეს ასულს დემურიას.

9) ავეჯალის აუდიტორიის რუსულ დრამატიულ წრისა—  
გან — მარიამ ივანეს ასულ დემურიას.

10) ტფილისის გუბერნიის ქართველ თავად-აზნაურო-  
ბის წინამძღვრობითა და დეპუტატებისაგან  $19\frac{21}{4}10$  წ.— გულ-  
წრეელის და დაუღალავის საზოგადო მოლვაწის მარიამ ივა-  
ნეს ასულის დემურიას ხსოვნას.

11) ტფილისის ქალაქის გამგეობისა და სახალხო სახლი-  
საგან — „გულ-მხურვალე მებრძოლს განათლებისათვის და დაუ-  
ღალავ მოლვაწეს ხალხის თეით შეგნების ასპარეზზე — მ. ი.  
დემურიას“.

12) სახალხო უნივერსიტეტის არსებულ ქართულ სა-  
თეატრო სექტიისაგან — „დაუღალავ საზოგადო მოლვაწეს მა-  
რიამ ივანეს ასულს დემურიას.“

13) ქართულ გიმნაზიის მოწაფეთაგან: — „ახალგაზრდო-  
ბის მესაკურის, ეურ. „ნაკადულის“ რედაქტორს მარიამ დე-  
მურიას.

14) სახალხო უნივერსიტეტის სკოლების ქართულ სექ-  
ტიისაგან — „დაუღალავ მუშაქს და საზოგადო მოლვაწეს მა-  
რიამ ივანეს ასულს დემურიას“.

15) ქართველ სექველ-მოქმედო საზოგადოებისაგან: «და-  
უცხრომელ ქველმომქმედს, ერთგულ მეგობარს ხალხისას და  
ბაჟშეებისას, მარიამ ივანეს ასულს დემურიას».

16) რუსულ დრამატიულ წრისაგან: მარიამ ივანეს ასულს  
დემურიას.

17) „კავკასიის ქალთა საზოგადოებისაგან“ — „დაუღა-  
ლავ მუშაქს.

18) მარიამ ივანეს ასულს დემურიას ხომხურ სექტიისა-  
გან: — „უფროსს ამხანაგს სახალხო სკენის სამსახურის საქ-  
მეში“.



19) მეორე დედათა საკვიროო სკოლისაგან: მართაშ ივანეს ასულს დემურიას.

20) ქართველ ქალთა ამხანიფობის სასწავლებლისაგან: — ეურ. „ნაკადულის“ ჩედაქტორს მართაშ ივანეს ასულს დემურიას.

21) რენის გზის უმთავრეს სახელოსნოს ყველა შემცირებისაგან: — უძლვნით საზოგადო მოღვაწეს მართაშ დემურიას.

22) ქართულ გიმნაზიისაგან: — მოზარდ თაობის შეგობარს კეთილს მართაშ ივანეს ასულს დემურიას.

23) იაკობ სეიმორის-ძის გოგებაშეიღლისაგან 1910 წ.  
24) იანვარს: — გულწრფელ შეგობარს ხალხის განათლებისას მართაშ ივანეს ასულს დემურიას.

24) დაუკიტყარ მაშოს ლამბაშიძეთაგან:

„ვინც თვის შამულზედ მარად ჰეიიქრობდა  
და სამშობლოსთვის უძგერდა გული,  
მისი სახელი უკუნისამდე  
იყოს მაღალი და კურთხეული!“

25) მართაშ და ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანებისა-  
გან: — თავგანწირულს სამაგალითო აღამიანს პატივის ცემისა  
და სიყვარულის ნიშნად.

26) სოფიო, ნინო, თამარ, სტანია, ვანო, თეკლე და  
კირა: — ძვირფასსა და დაუკიტყარ მაშოს.

27) მაიკო, ნინა და ლიზასაგან: — ძვირფასსა და დაუკიტყარ მეგობარს მაშოს.

28) ა. ნ. ნეტალიცკისაგან — მართაშ ივანეს ასულს დე-  
მურიას.





061136320  
8082010133

୬୦୪୩୧

ପ୍ରାଚୀନତମ୍ ମିଶ୍ରଳୀ ମାର୍ଗକାର ଦୟମିଶ୍ରଳାକୁ ଲାଭକୁଣ୍ଡାଯେବାକୁ  
“ନ୍ଯାଯମଧ୍ୟଳୀ”-ଙେ ଏହାକିମ୍ ପ୍ରକାଶ ଦ୍ୱାରେ ଲେଖାଯାଇଥିଲା.

ვირფასო და დაუკიტყარო მარიამ! ისედაც მცირე გუნდს  
ქართველ მოღვაწეების გამოკლი შენ, ერთი თვალ-  
საჩინო და უუსაპიროესი წევრი. შენ ისეთ იშვიათ  
დღამიანთა ჯგუფს ეკუთვნოდი, რომელთაც სიზოგადო საქმე  
თავის სიკუთარი, კერძო საქმედ მიაჩინათ და თავისი ძალა სა-  
ზოგადოებისათვის შესაწიროად ეგულებათ. და მართლაც, შენ-  
თვის პირადი საქმე არ არსებობდა, შენ მხოლოდ საქვეყნო  
საქმისთვის ზრუნვლი და იმას შეალიე შენი ძალ-ლონე.<sup>4</sup>

„მრავალ მხრივი იყო შენი მუშაობა და ის საზოგადოება, რომელიც ეხლა უკანასკნელი გეთხოვება, კირგად იცნობს შენს ნაღვეწია და ნამუშევარს, მაგრამ მინაც აქაც თქოთდე სიტყვით მოვიხსენიებთ შენს ცხოვრების.“

• უმთავრესი დარგი, რომელზედაც შენ დიდის ხნიდან დაიწყე საზოგადო მოღვაწეობა, იყო მდაბით ხალხის მთვის შერუნველობა. ისეთ დროს, როდესაც მათვის არავინ არა პირქობდა, შენ დაიწყე ძნელი საქმე და მოუწყვე სახილ-ხო წარმოდგენები და სახალხო კომიტეტი. შენ სცდილობდი ამ ნაირად მათში ცნობის-მოყვარეობის გაღვიძებას და გო-ნივრულ გასართობით გართობას. და მართლაც, მრავალ



დაბრკოლების მიუხედავად, შექმენი და მოწყე ესკოჭილურია და მნელი საქმე. იმით პირველი საფუძველი შენ დამყირე, დაუღალავის შრომითა და მნეობით ამ საქმეს ქვა-კუთხედი შენ დაუდევი. ეხლა ეს საქმე ბევრად უფრო გადავილებულია და სხვათაც შეუძლიათ შენი ნაანდერძევის მუშაობის განგრძობა".

"მეორე დიდებული საქმე, შენ მიერ შექმნილი, არის შენი საბავშვო ქურნალი „ნაკადული". შენის დაუღალავის მნეობით დამკვიდრებული, ეს საქმე თვალსაჩინო განძს წირმოადგენს ჩევნის ნორჩის თაობის აღზრდისათვის. შენ იყვენ სულის ჩამდგმელი, უფროსი ამხანაგი, უფროსი თანამშრომელი და თანაც უმთავრესი ძარღვი ამ საქმია, და ამ საქმესთან იყო შესისხლობორცებული მთელი შენი არსება".

„ნაკადული"-ს რედაქტირის ამხანაგობა, რომლის წევრთა დავალებითაც მე აქ ამ გამოსახოვები სიტყვას გეუბნები, ორნირიად ჰგლოვობს შენს უდიროვოდ დაკარგვის. დავპარგეთ შენით ერთი სასარგებლო და საჭირო წევრი ქართველთ საზოგადოებისა და დავპარგეთ იგრედვე რედაქტირის უმთავრესი მოშემედი ძალა"...

"მაგრამ, როგორც თვითონ შენ იკუთი, სასოწარკვეთილების დროსაც-კი იმედით ნუვეში, ირასოდეს გულს არ იტებდი და განსაკვდელის დროსაც-კი მნეობდი, ჩვენც შენის მაგალითით უნდა ვისარგებლოთ და არ მიისცეთ თავი უიშედობას. მართალია, შენ მოგვაკლდი, მაგრამ შენი ამხანაგბი ისევ განვაგრძობთ შენს ნაანდერძევ „ნაკადულს", არ დავაშრობთ, შენის ხსოვნის პატივისცემისათვის. იმის სიტყვას გაძლევს მთელი ჩევნი სარედაქტირო ამხანაგობა".

"შენი აჩრდილი მუდამ განუშორებელი იქნება ჩვენის რედაქტირისათვის და იგი მუდამ იტრიაღლებს ჩევნ, შენ თანამშრომელთა შორის, როგორც გამამნევებელი და მუდამ შრომის მომვონებელი ძალა".

"ეს იქნება საუკეთესო ჯილდო შენის ხსოვნისა, საუკეთესო სამაგიერო შენის სასარგებლო მოღვაწეობისა".




„მრავალმხრივი იყო ეგრედვე შენი სხვა მუშაობაზეც ცურატის მოსთვლის რამდენ გაჭირებულს ყოველმხრივ ეხმარებოდი და რამდენს შწვავე განსაცდელისაგან იხსნიდი ხოლმე!.. ამის მოსთვლა ძნელია, ყველამ, შენგან დავალებულმა, ეს თვითონ იცის და ესენიც თავიანთ გრძნობას ჩვენსას უერთებენ ეხლა ამ ეამს, შენდამი უსაზღვრო პატივის ცემის გამოსახატავდ.“

„სამწუხაროდ, ჩვენ, ქართველებს ია-ვარდი მაშინ გვეფინება ხოლმე, როდესაც საუკუნო განსაცენებელს მივეახლებით. რაც შენ ეხლა ია-ვარდი მოგაფრქვიეს, ამის მეათედიც რომ ცხოვრებაში შეგხვედროდა, ვინ იცის, ეგებ ეგრე მალეც ვერ მოელო ბოლო ულმობელს სენს!.. მაგრამ შენ, როგორც ყოველ ქართველს, ია-ვარდის ნაცვლად, ნარეკელით გქონდა თუმცა მოფენილი გზა—შენმა ძლიერება ხასიათმა და საქმის უზომოდ სიყვარულმა იმასაც დასძლია და თავისი ნაყოფიერი კვალი დააჩნია ჩენს საზოგადო ცხოვრებაში.“

„მრავალ გვირგვინთა შორის, რომლითაც ეხლა შეგამკის, არის ერთი „ნაკადული“-ს მკითხველთაგან მოძღვნილი, რომლის მსგავსიც კველაზედ უფრო სისიქადულო უნდა იყოს ყოველ მოღვაწისათვის. მართლაც, შენგან შვილივით შეყვარებულ „ნაკადული“-ს პატარა მკითხველნი უზომო სიყვარულით იყვნენ შენდამი ოღვისონი და ეხლა, როდესაც შორეულ ქვეყანას მყოფი შენი თუ შეიღო თავს ვერ დაგურებენ და მათი ცრემლიც შენს საფლავს ეხლა არ ეპკურება, ამათ სამიგიროდ მრავალ, შეილივით აღზრდილთა, თანაგრძნობა გიწევს დღეს მათ მაგიერობის და იგინი გულწრფელად ჰგლოვენ შენს უდროოდ დაკარგვის...“





## მარიამ დემურიას სახსრვად

(მოვლენების განაცხადი)



ქნება ოცდახუთიოდე წელიწადი მას  
შემდეგ, რა(1 მე. 14—15 წლის გიმნა-  
ზიელმა, გავიცანი, განსვენებული, მა-  
შინ ახილებიზდა, გასათხოვარი ქალი.

პირველის გაცნობისათანავე მარიამმა ჩემში უგულითადესი  
პატივის ცემა და სიყვარული დაბრინდა მით, რომ მაშინაც-კ-კი,  
როდესაც მას, ყმაწვილს, სიცოცხლით აღსავსეს, შეეძლო  
ათასგვარი გასართობი ეშვებ, მარტო საზოგადო საქმისთვის  
ჰუიქრობდა.

გავიცანი მაღალ საზოგადოების წრეში, საღაც არავის არ-  
ერიდებოდა და თითქმის გადამეტებულის სიცხარით ეყიდე-  
ბოდა მა წრის წარმომადგენლებს. განსვენებული ხშირად ნა-  
ღვლით სავსე სიტყვებით მისმართვდა ხოლმე და ჰკიც-  
ხედა მათს უდარდელს, ფუქსავარ ცხოვრებასა და ყოველ  
ნაელს დაუფარავიდ წინ წიმოუყენებდა ხოლმე. გასაოცარი  
იყო, რომ ამ სოფლის „დიდებულნი“ მის ცხარე განსჯას,  
არა თუ მოთმინებით ისმენდნენ, დიდის თავისით, მორიცებით  
და ღრმა პატივის ცემით ეპყრობოდნენ. ეჭვი არ არის, მის  
გულწრფელობას და გაბედულებას მომზიბელელი გველენა პქონ-  
და და გრძნობდნენ, „ამ სიძულვილში რამდენი სიყვარული  
იყო დამარხული“.



იმ დროს ქუთაისის გიმნაზიას ათავებდა ფრიალი რესტურანტისა და მაგრამ ღარიბი ყმაწვილი გ. ლ., რომელიც დღეს ჩვენში ცნობილი მოლვაწეა და პუბლიცისტი. განსვენებულს გაეგო ამ ყმაწვილის მდგომარეობა და სცლილობდა რაიმე საშუალებით მისთვის სწავლის განსაზღობო ხალსარი მოქმოვებინა. და იმ მიმშართა იმ საზოგადოების წევრთ წარმოდგენის გასამართავად. სამწუხაროდ, ეს წარმოდგენი ვერ მოეწყო და მე გულამილვრეული და სხვოწარკვეთილი წიმოველი, განსვენებულს—კი ამისთანები ვერ აშინებდა და ახლა სხვა საშუალების მიკმართა და ფული მაინც მოავროვა ამ ყმაწვილისათვის. ამ დღიდან ჩვენ შორის განუწყვეტელი მეგობრული კავშირი განმტკიცდა, რომელიც თავის დღეში არ შესუსტებულა და არ შეწყვეტილა, თუმცა ათის წლის განმავლობაში თითქმის აღარც—კი ვინახავს ერთმანეთი.

როცა 1895 წელს ტფილისში ჩამოვედი სწავლა დამთავრებული, განსვენებული ისევ ისეთივე ვნახე, როგორც თის წლის წინად, ისეთივე თავგამოდებული ყველასათვის და განსაკუთრებით იმათთვის, ვინც—კი ნიჭით განირჩეოდა. მისის შეცადინეობით, რამდენმამე ჩვენში ცნობილმა ნიჭიერმა კაცმა შესძლო საზღვარ გარედ წასვლა და იქ სწავლის დამთავრება.

უკანასკნელ დღეებში ზინად უხედოვდი განსვენებულს და უნდა გითხროთ, თითქო წინად გრძნობის გავლენის ჭვეშე, ყოველთვის თვალები მეტრებობოდა მის ნახვის დროს. მის სიცოცხლის უკანასკნელ ხანიდან წარუხოცველი სურათები აღიბეჭდა ჩემს გონებაში.

რამდენისამე დღის წინად სიკვდილამდე, უნახე—ოჯდა თავისს რედაქტურიში ზარტო და ცხარე ცრემლით სტიროდა... დასტიროდა თავის მდგომარეობას, სწუხდა იმ საჭერებისათვის, რომელსაც თავი შესწირა: უხედოვ, ვკვდებით, მითხრა განსვენებულმა, მაგრამ სიკვდილს არ დაეცებ, ოლონდ „ნაკადულის“ და „სახალხო თეატრის“ საქმე მოვაწყო კარგიდ, ჩემის შეილების სწავლა უზრუნველ ვჰყო...



უკანასკნელად განსვენებულს ტფილისის რეკტორი გ. გ. გორგაძე  
სალგურშე შევხედი და, თითქოს განგებ, ჩეენი უკანასკნელი  
შეხვედრაც იმით გათავდა, რითაც პირველი ნაცონბობა დაი-  
წყო, ჩეენს ცნობილს პუბლიცისტს ა. ჯ. ფაცილებდათ სალ-  
გურამსახის. განსვენებულს მარიაშს, დასუსტებულს, საშინელი  
ფერი ედვა, მაგრამ ვერაფერის ვერ შეეჩერებინა, თავისი მოვა-  
ლეობა, თავისი სულის წადილი აღსრულებინა და ცნობილს  
მოლვაწეს შესაფერისი პატივი სკა; ეს ნახვერად მკვდარი  
ადამიანი ვაგონშიაც-კი შევიდა, რათა ენახა, კარგად იქმნება  
დაბინავებული თუ არა.

რომ ჩამოვიდა, იმდენად დაღალული და დასუსტებული  
იყო, რომ ამდენსამე ხანს შესვენება დასჭირდა, რომ სა-  
ხლში წასულიყო...

ორის დღის შედეგ (დეპეშა მიკილე), მარიამი აღარ იყო.

მისმა დასაფლავებამ, რომელმაც შექრიბა მრავალი ცხარე  
ცრემლის დამურქვეველი, დაგვანახვა, რა შეუძლია სრულიად  
ჩვეულებრივ ადამიანს, რომლისთვისაც ბუნების მიუნიკებია  
არა ჩვეულებრივი გული, ადამიანთა მიმართ სიყვარულით და  
თანაგრძნობით უხვად დაჯილდოებული, როგორც ეს აღნი-  
შნული იყო ერთ ერთ სიგლოვიარო სიტყვაში.

მრავალს ჩვენგანს შეუძლია თვით მოქმედდეს, ზოგს შე-  
ტის ნიკით, ზოგს კიდევ მეტის სწავლით და ცოდნით, მაგ-  
რამ განა ბევრს ჩვენგანს შეუძლია სთქვას და თვით მოიწო-  
ნოს, რომ განსვენებულის ოდენი ნაყოფი მოეტანოს თავის  
საზოგადოებისა და ერისათვის, იმდენი ენერგია დაეხარჯოს  
მომზეთა საკეთილოდ და იმდენი სურვილი განეცხადებინოს  
თანამემომულეთა შესაწევად?

არ გვიხსენოთ იგავი სახარებისა შესახებ უფალისა,  
რომელმაც „მიშსკის მონათა თვისთა მონაგები თვისი“? ზოგმა  
ასარგებლა უფლის მიერ მიცემული, ზოგმა-კი მიწაში ჩამარხა  
უნაყოფოდ და უსარგებლოდ. როდესაც უფალი დაბრუნდა  
და ანგარიშა მოითხოვა, ზოგმა ნაჩუქარი გათორკეცა. მაშინ



რპქვა მას უფალმან მისმან: კეთილო მონაო, სახიერო და  
სარწმუნოო, მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა  
დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა».

და, ვინ იცის, იქნებ ეს გული, ეს მოსიყვარულე გული  
ადამიანისა, რომელი „მცირესა ზედა სარწმუნო იქმნა“, ნაწი-  
ლებად იქტა და ეს ნაწილები „ნაკადულის“ ყოველ გვერდს  
თან მოჰქონდა ჰატარა ანგელოზ მკითხველებთან?

საუკეთესო ძეგლი ამ ლარიბის ადამიანისა ის იქმნება თუ,  
ერთად ერთი მისი განძი, მისი მდიდარი გული, ნაწილებად  
კუეული, ჰატარა მკითხველთა შორის შესაფერისს ნიადაგს  
მოიპოვებს და მკედრეთით ალსდგება გამშვენიერებული და გაბრ-  
წყინვებული მომიერალ ყრმათა არსებაში ...

კიტა აბაშიძე





## გთავი

უმარედობის სურათები

### I

გრილდა. ჯანღისაგანა  
აღარ სჩინს მთები, ხევები;  
შეიდის წლის ნაცივარს ჰევანან  
ფერ-დაქარგული ხეები.

თუ შიშის ზარმა შეიპყრო  
ჯავშნით მოსილი ტყეები?  
არ ვიცი. მხოლოდ ეს მიკვირს,  
ჰევანტვენ ტან-საცმელს ნებითა,  
მთელ სარჩო-საბადებელსა  
მიწას უძღვნიან კრებითა!  
რა კევამ გაგიჭრათ, ხეებო,  
არ ვიცი, რასა ვშერებითა?  
მალევ თავს უხრით ზამთარსა,

იმის სურვილსა ჰყებითა!...  
ირემი ქორ-ბუდიანი  
შიმელაბებს<sup>(3)</sup>) ჰგრეხს რქებითა;  
უშმობს ფურს, დადის, დაეძებს  
უკირვებული ქნებითა.

III

<sup>\*)</sup> ნორჩი პეტრი.



გადმოიარეს წეროთა  
შეილებით, შეილის-შეილითა;  
ჩრდილოით სამხრეთს მიშმართეს,  
იქა სჯობია იმითა.  
მიღიან ძაბილ-ძუბილით  
მწერივად ღამით და დღისითა.  
ოლონდ ტაროსი დაუდგეს,  
გზა აჩ დაკარგონ მისითა.  
ვერ იძინებენ საწყლები  
მთის არწივების შიშითა.  
უტევენ, აწიოკებენ...  
მთა სწუხს მგზავრების ვიშითა.

## III

ცხვრებიც დაიძრა საბაროდ—  
ფარა თან მისლევს ფარასა.  
ზღვასა ჰგავ გადმოვარდნილსა,  
მოდის, მოპლევაეს შარასა.  
გაათეთრებენ მწვანესა—  
შირაქს და ტარიმანასა;  
წინ თხები უძლვისთ ბელადად  
ამოლებულის ხმლებითა.  
გულს უმაგრებენ ფარასა  
ოროლით, განა ქრთითა.  
კუდ-გაკრევილი ძალები  
დარაჯად უდგან გვერდითა.  
თუ სითმე მტერი აუჩნდათ,  
დაიფარავან მკერდითა.  
თან მოსდევს ჯოგი ცხენისა,  
მოდის საქონლის ნახირი,  
სავსეა მწყეს-საწყემსოთი  
ორივ არაგვის ნაპირი.  
ეს, მთაო, შემოგწყროშია,



როგორცა ვხედავ, ქვეყანა:  
 კარგი ყოფილხარ მინამდე,  
 ვიდრემდე სარჩო გეტანა,—  
 მანამდე საჭმელს იქმევდი,  
 იონჯას შაქარ-რეულსა.  
 და, ახლა, როცა გაქოტილდი,  
 შორს გაფირბიან სნეულსა.  
 როს ამწვანდები სამოდ,  
 გულ-შკერდს შეგიშეობს მყოფანი,  
 თავს დაგესხმიან მაშინა,  
 როგორია მძოვრსა პორანი;  
 კულად ურცხვად მოვლენ, სიწითლე  
 არ დაეტყობათ სახეზე,  
 მიგთელ-მოგთელენ უწყალოდ,  
 ბაკებს გამართევენ ბაკებზე;  
 მდურვა კი შენი პირილან  
 არ გაგონილა კაცებზე.  
 შენ ზაფხულობით ჰპურადობ,  
 ყველას ჰმისპინძლობ უხვადა,  
 ჰპატიურობ ალი-მუსისა,  
 ზედ ეფარები კრუხადა.  
 ბარი-კი ამ დროს სარჩოსა  
 მაგრა ინახავს შუკადა,  
 ეწვდება იქეთ-იქითა  
 საზრდოსა დასაბლუჯადა.  
 როს შენ ვერ აძლობ ქვეყანას,  
 ის ეგულება ბურჯადა.  
 ღმერთმა უშეველოს ბარსაცა,  
 ნუ ვიტყვით გასილუქადა.  
 რიგ-რიგითი ხართ, რა უშავ,  
 ქედ-მოუდრეკელ გურჯადა.  
 მაღლობას გეტყვისთ, ვისაც-კი  
 გული არა იქვს კუკადა,

ერთონაული  
ბაბუაბირთვა

ვისაც თვალები ხედვად აქვს,  
და არა დასახუჭადა.  
ერთი ხართ სიცხის წამალი,  
ხოლო მეორე—ზრობისა.  
ორივ ხომ ჩვენი კირია,  
მწამლავი ჩვენის ყოფისა.


## IV

რა გვეშველება? დავკარგეთ  
ტურფა ზაფხული მწეანითა,  
ფრინველი ათასნაირნი,  
ტკბილად მსტვინვენი ლაშითა.  
წავიდნენ ჩვენი სწორები  
თოხებითა და ბარითა.  
ხერხი, ხელები თან მიაქვთ,  
ცულები მხარზე ტარითა.  
გავცემრით გულ-დაკოდილნი  
ბარად მიმღინჩებს ბანითა.  
კერას უსხედან მოჟუცნი,  
ქალები თითისტარითა,—  
ბალდები ტან-ფეხ-შიშველნი  
დაუბანელის თავითა.  
ნორჩები აკვანში წვანან,  
შემოსილები ჩვარითა.  
ილეიძებს ჭრი და კური  
საჩეჩლის ქმილის ჩემითა.  
გაიგეს კალთა-უბენი  
დიაცთა ნაფარტნალითა.  
შემოგვლულუნებს ნიავი  
დიდის დარბაზის კარითა.  
გვართობენ მოხუცებულნი  
ძველებზე საუბარითა.  
ვათენებთ გძელს ლამეებსა

ଲାମିଟ୍ର୍ୟପାରଣି ବିଜ୍ଞାପନିକା,  
ଶବ୍ଦାଳାଦିନ ବୋଯିରିବିତ ବିନିଜାଲୁବା,  
ମନ୍ଦଗ୍ରେହିଲିଙ୍କ ମିମି-ଗ୍ରେହିଲିଙ୍କ,  
ନାତ୍ରିକୁଳାଳି ଏହି ଲାଲାଙ୍କ ଏହି ପୁନର୍ଭାବ,  
ବିନିଜ ପ୍ରସରିତ୍ତିରେ ଦାରିଦ୍ରା,  
ବିନିଜ ପ୍ରସରିତ୍ତିରେ ବିନିଜାଲୁବା,  
ଲାମିଟ୍ର୍ୟପାରଣା ନିମିଲି ପ୍ରମିତା...

ପାତ୍ରା-ଫିଲାଫେଲା

(ରୂପବିନିର୍ମାଣ କରିବାର ପାଇଁ)



## სამაგიერო

**ე**დო მირბოდა მდინარისაკენ და თან მალ-  
ხალე იხედებოდა უკან. საბანოდ გამოეპარა  
დედას და ეშინოდა არ შეემჩნიათ, თორეშ  
ცემას ვერ გადარჩებოდა. დედ-მამა თედოს  
აფი. როდი ჰვავდა; პირიქით, ძალიან გულ-  
კეთილი ხალხი იყო და თედოც გაგიქებით უყვარდათ; მაგრამ  
მას შემდეგ, რაც მარჩიელმა უთხრა, თედო წყალს მოარი-  
დეთო, აკრძალული ჰქონდა ბანაობა. თედო კი თავისას არ  
იშლიდა; ეს იყო მიზეზი, რომ მშობლებმა ცემა არჩიეს თე-  
დოსი, ვიდრე მისი ბანაობა წყალში.

მაგრამ ვაი, რა გაგიქებით უყვარდა თედოს ცურაობა!  
ჩველიაფერს დასთმობდა და ამას კი ვერა.

აი ეხლაც ბევრს ეცადა როგორმე გაპარულიყო, მაგრამ  
ვერა სცილდებოდა ხან დედას, ხან მამას; კიდევ კირგი, რომ  
სტუმრები მოვიდნენ, თორეშ ველარ იბანავებდა დღეს.

აგერ მდინარეც გამოჩნდა; იმ მორევის ახლოდან, სადაც  
ყოველთვის ბანაობდა თედო, ბავშვების ფიფილ-ხიფილი ისმო-  
და. თედომ თვალები შეისაგან ხელით დაიფარა და დაინახა



მდინარის პირას ბავშვები წყალში ისროდნენ ქვეში მორფეუს  
ეს შეაგულს კი რაღაც შეერტილი მოსჩანდა; წერტი-  
ლი ხან დარშალებოდა, ხან კიდევ ისევ ზევით ამოტივტივ-  
დებოდა. ოდომ ფეხს გაუჩქარა; მიუკალოვდა თუ არა ბავ-  
შვებს, საზარელი სურათი დაინახა: წყლის ულრჩეს ადგილის  
საცოდავად ფართხალებიდა შევი ლეკვი. თვალები ისეთი გრძნო-  
ბიერებით მოეპყრო კიდისკენ, თითქოს შებრალებას და შვე-  
ლას თხოულობსო; როდესაც, შველის მაგიერ, კიდიდან ქვა-  
ხედებოდა, თეალთაგან ურემლები სცეიოდა, თითქოს ბავშვე-  
ბის ახეთ მხეცობას და შემდეგში იყვაციობას ჰგლოობსო.

— თქვენ, ეი, დაეხსენით მაგ ლეკვები არა გრცხვენიანთ,  
რომ ხაცულია უწინო ლეკვები გარე იწველებთ?

— ба! ба! ба! — га-ду-и-ка-ар-ка-ри-е-с ბა-ფ-შე-ე-ბ-მ-ი, — სა-ც-ო-დ-ი-ვ-ი, უ-ე-ნ-ი! მა-შ-ი-ნ ხ-ო-მ ა-რ ი-ყ-ი-ო უ-ე-ნ-ი, რ-ო-დ-ი-ს-კ მ-თ-ე-ლ-ი პ-ე-რ-ი შ-ე-გ-ვ-ი-ვ-ი-მ-ი, თ-ე-ლ-ი, ჰ-ა-მ-ი შ-ე-ნ-ი ა-მ-ხ-ა-ნ-ი-ვ-ი ხ-ო-მ ა-რ ა-რ-ი-ს, ე-გ-ჩ-ი რ-ო-მ ე-ქ-ო-მ-ე-გ-ე-ბ-ი? — გ-ა-ე-ბ-უ-მ-რ-ი მ-წ-ყ-ე-მ-ს-ი, მ-ე-ზ-ო-ბ-ლ-ი-ს ბ-ი-ჭ-ი ნ-ი-ნ-ი-ა.

თელოს ეერ მოითმინა და ერთი ისეთი სილა გაარტყა,  
რომ ნინიას ცხვირილან სისხლი წავარდა და ტირილი მორ-  
თო. სხვები კი ხმის ამოლებას ველარ ბედავდნენ, რადგანაც  
თელოს სიმარტე და სილები ყველას გამოცდილი ჰქონდა.  
ნინია კი ტირილთან ერთად ბუტბუტებდა:

— მე მიძრანავდი ძალუს წვალების და შენ კი შენზე  
უოონოვბის ერთვი და სციგე!

— ჰა! ნინია, თუ ბიჭი ხარ და გამომიყენ ლეკებს! შეურს  
მოგცემ; დავნიძლევდეთ.—უთხრა თელომ, რომელსაც შეეცო-  
და ის ბიჭი და თანაც რცხვდენოდა თავის სიქიუროსია.

შეუტის გავლებაზე ნინის პარისახე გაუტრწყინდა.

— မართლა, თელო? იბა, შეჩვენე? — თელომ ჯიბეში ჩიყუ  
ხელი და ძმილო დედისაგან ნაწყვიარი ზოურიანი.

— ମାତ୍ରିକୁଳୀପି, ତରଫର!

— აჲა, მიხას გადავცემ! — როგორც კი გამომიყვან ლეკის, შაურს შენ მოვცემს. ამ სიტყვებით თქლომ შაურიანი მიხას

გადასცა. თითონაც დდგილიდ შეეძლო ლეკვის გამოყენა, შეგრძამ თავისი გულწყილობა არ უნდოდა ენახებინა ბევშეებისათვის და ფულს უმიზებოდ ვერ იძლევდა ნინის, რომელიც შეტად ეცოდებოდა. ნინია კი საჩქაროდ ტანთ იხდიდა; შორიდანვე გადახტა მორევში, ჩაიყუჩკუშელავა და თითქმის ლეკვითან ამოქყო თავი; წიავლო ხელი და სწრაფად კიდევთან გაჩნდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ლეკვი ხელებს ულოკავდა თედოს, თითქმის გრძნობს, რომ მან გადაარჩინა სიკვდილს და მადლობის ნიშნიდ ხელებს უკოცნის.

თედოს ბანაობა დაავიწყდა და ლეკვით ხელში საჩქაროდ გასწია შინისაკვენ.

— ეს რა მოგიყენია, ბიჭო! — ჰერთხა ნიმამ ლეკვის დანახვაზედ. სეცოდევი! ვის უცემია ეგრე ულმერთოდ, — სოქვა ვან, როდესაც თავზე რამდენიმე ტუავ-გადამძერალი ალავი დაინია.

თედოს ძლიერ ეჯავრებოდა სიცრუე, მაგრამ ახლა იძულებული იყო ეცრუვნა, რადგანაც. ნამდვილი რომ გაემზალა, ეშინოდა, არა მცემონო.

— ი იქ ყანისთან ბავშვები ქვებს ესროდნენ, მოკვლა უნდოდათ; მე წიგაროვი და შინ წამლივიყანე. მამამ არაფერი უთხრა, მხოლოდ ალერსიანად შეპხედა. თედო კი შეუდგა ლეკვის წყლულების მორჩევას.

გადირბინა მეზობლის ცოლთან მაყრინესთან; მაკრინე განთქმული იყო წამლობაში და თედოსაც დაბმარება გაუწიო.

გავიდა კარგა ხანი; ლეკვი გაიზარდა, უკვე დიდი ძალი შეიქნა.

დილიდან საღამომდის თედოს არა შორდებოდა. „სად ხარ «ნახულა!“ დიძახებდა თუ არა თედო, ძალლი იმ წამსვე იქ განწლებოდა. ლამე კი გათენებამდის ეზოს ურბენდა გარშემო; ცერავინ პეტლავდა ეზოში ჩუმად შესვლის; ისეთ ალიაქოს ასტეხდა ხოლმე ნახულა, რომ მთელ ოჯახს მაშინვე ფეხზე დააყენებდა.

— ძალიან ძალლი გამოდგა „ნახულა“, — იტყოდგა ბრძოლების მიმა. — სანამ ეგ არა გვყავდა, ეზოში ნახევარი ხილი აღარ გვრჩებოდა; სულ იპარავდნენ; ახლა კი, აბა, გაბედონ, თუ ბიქები არიან!

ამ ლაპარაკს „ნახულა“ ბეჯითად უგდებდა ყურს და, თითქო ესმის, რომ ბაისი იმას შეეხებაო, თედოს უოველ შე-სედვაზე გულმოდგინედ აქიცინებდა კუდს.

## II

— თედო, ადე, წისქვილში წავიდეთ! — უთხრა ერთხელ მამამ, და თან ხორბალს ტომრებში ჰყრიდა.

თედო წამოდგა; მარტად ჩიციცა ტანთ; შემოიხეია თბილი ყაბილიაზი და ფეხებზე თბილი შილის ნაჯრები შემოიხეია, რათა თოვლისა და ყინეას არ შეეწუხებინა გზაში.

მოიკიდეს ტომრები და გასწიეს წისქვილისაკენ.

მათ სახლიდან კარგა დაშორებით იყო წისქვილი, ასე რომ შეუადლისას ძლიერ ჩიაღწიეს. იქაურობა ხალხით სავსე იყო. ყველის ეშურებოდა ფქვილის შინ მიტანა, რადგან თრი სამის დღის შემდეგ ბედნიერი დღეები დგებოდა. ამიტომ თედოს და მამას რიგისთვის უნდა ეცადნათ. და ეს, ვინ იცის, როდის იქნებოდა; მამამ გადასწყვიტა შინ დაბრუნება და თე-დო მეწისქვილეს ჩააბარა.

— თუ ძმა ხარ, ივანე, ბავშვეს გოტოვებ და, როგორც კი დაფუქვა, მაშინვე შემატყობინე. მხოლოდ თუ ცუდი დარი იყოს, ნუ გამოუშევდ.

— ბატონი ბრძანდები, — ალუთქვა ივანემ და მამაც გა-ვიდა გარედ.

თედო მიუახლოვდა ცეცხლს და ისმენდა უფროსების ლაპარაკს.

— ი დაწყევლილმა, — ამბობდა ყველაზე ხნიერი ბოქაუ-ლისასა — ალარაფერი არ შემარჩინა. მას აქეთ, რაც წინააღმ-დევი სიტყვა გაუბედე, სადაც კი მომიხელთებს, აღარ მზო-გავს. ამას წინად მოვიდა გადასახადის მოსაკრებად და, რაც



არა მქონდა, რა უნდა მიმეცა. გამოიყვანეს და წარუდიშვილისა  
უკანისკნელი ძროხა!

— ეშ! რა გაიწყობა! — მწუხარედ მოიკენეს ზოგიერთმა.

ჯერ გულმოდგინედ ისმენდა თედო ამ მმბეჭს და გული  
უკადებოდა სიცოდაობით; შემდეგ კი თან-და-თან ჩასთვლიმა  
და ბოლოს გულიანიდ მიეძინა.

უცურად თედოს ზურგში კარგა ლაზათიანი მუჯლუგუ-  
ნი მოხვედა და მოესმის ხმა: „ადექ, გაეთერ აქედან, რასა ხვრი-  
ნავ!“ თედოს სიზმარი ეგონა და ას უნდოდა ადგომა; მა-  
გრამ მეორე მუჯლუგუნმა გამოაუხიზლა. წისქვილის კარებში  
ბოქაული და დარიაჯები იდგნენ. წისქვილში მყოფ ხალხს ხე-  
ლებს თოკით უკრავდნენ და უწყალოდ სცემდნენ. მოისმო-  
და საშინელი კვნესა და „რას გვერჩით“-ის ძაბილი! თედო კი  
შეუმჩნევლად გაიპარა გარედ და გულგახეთქილმა გასწია ში-  
ნისაკენ.

წისქვილს ახლო კაცი მოეკლათ და წისქვილში მყოფნი  
იმიტომ თურმე დაიკირეს!

თედოს ცხადად წარმოუდგა თავგაჩეხილი მკვდარი, რო-  
მელიც ძირს ეგდო დედა-მიწაზედ თვალებ-გახელილი და პირ-  
დალებული, შიშის კან კალმა აიტანა და გარბოდა, რაც ძალი  
და ლონე ჰქონდა; ვერც კი ამჩნევდა, თუ რა მმბავი ხდებოდა  
გარშემო. მხოლოდ დიდის ხნის სირბილის შემდეგ, როდესაც  
სუნთქვა გაუმნელდა და შეჩერდა დასასვენებლად, დაინახა  
რომ სრულიად უცნობ ალაგოს არის. თუმცა ღამე იყო, ქარ-  
ბუქი იდგა, მაინც არჩევდა უცნობ ალაგებს.

ქარბუქი კი თან-და-თან ძლიერდებოდა. მიწიდან ატა-  
ცებულ ფიფქს თოვლს ქარი ათას ნაირად ატრიალებდა და  
აყრიდა თავპირში თედოს, რომელიც თან-და-თან სუსტდე-  
ბოდა, მაგრამ გულს იმაგრებდა და წინანდებურად თავ-და-  
ლუნული მიდიოდა გამალებითა. ბოლოს, ძლიერ დაქანცულ-  
მა, ვეღარ შესძლო სიარული და თოვლის გორდზე ჩამოჯდა  
დასასვენებლად. მაგრამ ღამის სიერცეში ყმაწევილს ათასი რამ



მოელანდა; მირლიდ წამოსტა და შეშინებული გამოიყენებულა  
მირბოდა; უკრივ ფეხი ქვეს წამოჰკრა და თოვლში ჩინებულია;  
თავზე რაღაც გადაახტა.

— ამის კი დავილუპე, ნამდეილიდ მგელი იქნება და  
შემჭიდმსო! — იფიქრა თელომ, რომელიც თან-და-თან ჰქონდავდა  
გრძნობს; ის თბილ ენის შეხება იყრდნო; უნდოდა დაეყუი-  
რა — მიშველეთ, მგრლმა უნდა შემჭიდოსო — მაგრამ აღარ შეეძ-  
ლო, რადგანიც ძლიერმა ძილის სურვილმა ძალა წაართვა;  
უკურად მოგხმი საუცხოვო მუსიკს ხმა; გაიხდა იქითვენ,  
საიდანიც მოსხმოდა ხმა და მშვენიერ სურათის ნახვამ გაით-  
ცა. მთელი გუნდი ინგელოზების ლაშიად მღეროდა; ხელ-  
ში ეკრით პატიშენი სკამ-ლოგინი; სკამ-ლოგინზე ოქროსფერი  
ხუჭუჭუჭუჭუ-თმიანი ყმაშვილი ჯდა და ხელში შეი ლეკვი ეჭირა;  
გოცებული შესცემით თელო ლეკვას და ბოლოს იცნო, რომ  
ლეკვი მისი „ნახულა“ იყო.

— ნახულა, ნახული! სად ხარ? — ღობიძე და თან შემონებულმა გააკეთები თვლენები.

არც ანგელოზები და არც ყმაწვილი სუკეთ იღარ სჩან-  
დნენ; თედოს ტირილით თავს ევლებოდა დედა და საბანს ჰესუ-  
სავდა. თედო გონს ვერ მოსულიყო და ვერ გაევო, რად სტი-  
როდა დედა ან თითონ როდ იწვი ლოგინში.

დედამ უამბო: „შუალიმე გადასული იქნებოდა, როდე-  
საც მამას გახშირებული ძალლის ყეფა მოვსმა. საჩქაროდ  
წამოსტა, რაღაცანაც იგრძნო, რომ რაღაც ამბავი უნდა ყო-  
ფილიყოყ. ჩაცმა ვერც კი მოსხრო, რომ სიღაძინლაც „ნახუ-  
ლა“ შემოძერა და მივარდა მამას, სტაცა ჩოხის კალთაში კი-  
ლი და დაუწყო წევა.

— არიქა, მიშველეთ, თედოს რამ უნდა მოსვლოდეს, — გადასძიხა მან შეზობლებს და წამოვლო თოფს ხელი. რამდენისამე წუთის შემდეგ, ხუთი-ექვისი კიცი, უჩელილებით\*) ხელ-

<sup>\*)</sup> ეინდილი მშენებით ჰქონიან ნედლად დაგრეხილ და გამზიარ ტოტს (წნევლს), რომელსაც ჩეცენტრურად ცუილება ცეცხლი და ეჭვან ანათებს.

ში, მისდევდნენ უკან ნახულის, რომელმაც სწორედ ტექირამით გავიანა, სადაც თედო ეგდო თოვლში გახვეული. ბევრი ეწვალნა „ნახულის“, მაგრამ ვერ აეყენებინა თედო. მერე დაეწყო თათებით თოვლის წყურა და, სულ ერთიანდე რომ დაეფარა, გამოქენებულიყო შინისაფრნ და აკი დროზედაც მოვიდა საშველიდ. თოვლით რომ არ დაეფარე „ნახულის“, ახლა აღარ მეყოლებოდი, რადგანმაც ყინვის ვერ გოუძლებდი, თოვლში კი თბილოდა და სუნთქვაც ადგილად შეიძლებოდა“. ამ სიტყვებით დედამ გულში ჩიტრი გაოცებული თედო.

ამ დროს გარედან შემოვარდა „ნახული“, რომელიც მამის გაჟყოლოდა.

— ი, „ნახულაც“ როგორ ამოგანგლულა თოვლში, ეს საძიგელი! — ილერსითა სოქე და არ უნდოდა „ნახულის“ თედოსთან მიშვება, „ნახული“ დედას ვადაახტო; თათები მოხვია თედოს და ურთ წუთში მოულოდა მოელი პირის-სახე.

თედოც მხურვალედ ჰკოცნიდა თავის გალარჩენილს სამაგიტოს გადახდისათვის.

კონდელი





## ახალი წელი გურიაში

### I



აკალანდოდ (საახალწლოდ.) გაცილებით მეტს  
 მზადებაში ვიყავით, ვიდრე საშობოოდ. ხუმრობა  
 ხომ არ იყო, ძევლი წელიწადი მაღრიელი უნდა  
 გაგვეხსრუმრებინა და ახალს ყველაფრიით ლირსეუ-  
 ლად უნდა დავხვედროდით. კველის გვრწემდა,  
 რომ როგორც გავატარებდით ახალს წლის პი-  
 რველ დღეს, მოელი წელიწადი ისე ვიქნებო-  
 დით, ისე დაგვეძედებოდა.

ახალ წლის წინა დღით, რომელსაც გურიაში „უხემლი  
 ჭრის“ ვეძისით, დილიდგანვე მოელ სოფელში დიდი ერიამული

იყო. ძალლების ყეფა-ყმუილი, ქათმების კრიახი, ღორგების და თავ-განწირული ცყვირილი ერთი ერთმანეთში იყო არეული. ილესებოდა დანა, დუღდა წყალი. ჩვენი მოგონების დღეს მთელ ჩვენს კუთხეში დიდი სისტლის ღვრია იყო. წინად გურიაში ის თჯახი თჯახათ არ ითვლებოდა, ვინც თჯახში საკუთრიად ერთ ღორს და ჩამდენსამე ქათაშს არ დაჰკლავდა. ულორის თავთ კალანდა გურულისთვის — ეს წარმოუდგენელი რამე იყო. დილიდგანვე შეიქნა დასაკლავ ღორების განწირული ცყვირილი და ქათმების კრიახი. ჩვენს თჯახშიც დაჰკლავს ღორი — გაღუფექს, ააცალეს ჯვარი და ცალკე გასაყიდად შეინახეს, მემრე კარგიდ გაქნეს, გამოწლეს, გამორეცხეს და ბაწრით სხვენზე გამოჰკიდეს. დახოცეს ქათმებიც. დაცარიელდა საპატიმრო. მამაჩემშა გალესა წალდი, ავიდა რცხილაზე და დააჭრა ტოტები, გასხიპა და ჩვენ, ბავშვებმა, სახლის დერეფანში შევზიდეთ. სადილს შემდეგ შეზობელ თომისაგან ჩეულებისამებრ მოგვივიდა ჩიჩილაკი ანუ წმინდა ბასილეს წვერები. ჩიჩილაკი იყო ჩამოხდილი ტყიურ ობოლ ლელვის ნორჩებზე, ჰქონდა გრძელი თეთრი წვერები, თავზე დატანებული ჯვარებინა თავ მწვეტიანი ჯოხები. „ბაბუას წვერები“ ყველას ძრიელ გაგვეხარდა, მეტადრე ბავშვებს.

— აბა, ბიჭებო, თქვენ რციოთ, როგორ კარგიდ გააწყობთ ჩიჩილიკა! გვითხრა მამამ. ჩვენც გავიქეცით მახლობელ პატარა ტყისაკენ, მოვნახეთ სურო და კურკანტელი (ეკლის ლიკის წითელი მარცვლები). სალამოს, დედაჩემის შემწეობით, კოპწია პატარიძალივით მოვრთეთ. რა გინდოდა, სულო და გულო, რომ „ბაბუას“ წვერებზე არ იყო. სურო, კურკანტელი, ქარვა, აბრეშუმის ლანდი, ფორთოხალი, ფორჩიანი კანფეტი, ბროშეული, მსხალი, წითელი ვაშლი და სხვა. თავზე ჰქონდა ჩამოცმული მრგვალი ხაჭაპური — ერთი დიდი და ორიც პატარა. ასე მორთულ მოკაზმული მივაყუდეთ სახლის აღმოსავლეთის კუთხეში. საღამოს დედამ გამოუცხო სხვა და სხვა. ზომის ხაჭაპურები, მოხარშეს ღორის თავი, საჯიქო ბეჭი, შეწვეს ერ-



თი კარია, რომელსაც ბებია ჩემი საზვარაკეს ეძინდეს დღიურში და  
დეს ღომი, გააკეთეს ნიგების წვნით გასუქებული ქათამი. მა-  
მარტო მოხადა საკალანდო ჭური (ქვევრი) თავი, მოიღო ღვი-  
ნო და სალვინე ააქსო. საღამო ემს ბებია ჩემი მშრუნველო-  
ბით შეკითხა დედაჩემს:

— ჩემთ რძალო, განათხოვებელი ხომ არაფერი გვაქვს —  
სხვისას არაფერი დაგვრჩეს, არ ვარგა, დაგვებედება.

— օհա, ձեմոնք, պարուղյուղո և անտեղ գցային, պարուղյուղո  
և անտեղ, ոլոնք թյու զըստարշայ և սանտեղու հօթոյենո.

ბებია ჩემი ხდის თავს თავის დარკინულ სკორს, იღებს  
წმინდა კოშტ სანთელს, მიაქვს ცეცხლთან, ცეცუნებს და და-  
ნით მომბალ ნაწილებს აკლის, ხელით ზელს და ათხელებს.  
როცა კარგიდ გაათხელა, მომცა ხელში ბამბის სხვილი ძაფი  
(სანთლის გული), ფეხს დამაყენა, თვითონ დაიჩინა, სასოებით  
გადაიწერო პირჯვარი და დაწყო სანთლის ჩამოქნა. თან ხე-  
ლით ასორსოლობდა, თან ჩიტჩიტით ლოცულობდა:

— „ლმერთო და წმინდათ ბასილევსი, ძველის წამომანებათ და ახლის მოპოვებათ, შემცირებით და უკლისათ გუც-თენე ჩემს შეიღოს და შეიღოს შეიღოს შეიღოს შრაველი ახლის წე-ლიწადი უკლისათ—შატრებაში“.

დაღიმდა კილეც. გაშილეს სუფრა ძველის წლის გამოხა-  
თხოვან სადღესასწაულო ვაბშეინათვის. მაგრამ სანამ კამას  
შეუდგებოდით, ბებია ჩემმა ნიტებარით აიღო სამჯერ ნაკვერ-  
ჩხალი, დადგა სუფრასთან, ამოილო თავის სკოვრიდან მჩრებში  
შეხვეული საქმეველი, თითო „კიჭეტი“ (პიტარა ნამტვრევი)  
სათითოდ ყველას ჩამოიგენიდა. ბებიამ, დედამ და მამამ შეს-  
თხოვეს ღმერთს—ახალი წელიც ისეთი ბედნიერი და შევიღობი-  
ანი ყოფილიყო, როგორიც იყო ძველი. დააჭირეს საქმეველი.  
ჩვენც მათ მივბაძეთ. შემოუსხედით სუფრას... მამაჩემმა გაავსო  
ჭიქა და დაიღოცა:

— „დიდები ღმერთსა, ღმერთო დიდები შენ, ღმერთს და წმინდას ბახვევლი, შეეღის წაბპანებათ! და ახლის მობპანებათ, შევიღობით და მხიარულიად გამარტუმრებიყ ბევრი

ძეველო წელიწადი და ახალი უკლისათ მოგებაში მიმიგებული მიზანი არ იყო მარტინის მიზანი. მემია ჩემმა მეტიც შესთხოვა ღმერთს. ჯერ კიდევ ვახშამს შეცექცეოდით, თოფის ხმა რომ მოისმა. მამა ჩემიც ახალგაზრდულის სიცეიტით წამოხტა, ჩამოიდო კედლიდან თოფი, ვამოალო კარები შემართა და ხმა მაღლა დაიძახა: — „ძეველო წელიწადო, მშეიდობით წადი, ახალო წელო შვიცობით მოდი“. ამ სიტყვებთან ერთად თოფის გრიალი ღამის წყვედიადში მოისმა. მეზობლებშიც ასტყდა თოფის სროლა — ეს იყო ძეველის წლის დასამარება. ვამა ჩემმა თოფი საგულდაგულოდ გასტენა. — ხვალ რომ მიმტყუცნოს, ხომ მევია ჯაყება; ამა, ახლა დროი დავიძინოთ. ხომ ყველაფერი ხაზირია, (მშაღ) ბოჟო! ტკბილად შეეკითხა მამა დედას.

— კი, ბატონო, ოქვენ მოისვენეთ, მე გახალოცავ გობს გავაწყობ. ეხლა ბებია მოვევიყვა დარიგებას.

— აბა, შვილებო, დაწევით, ღმერთშა ტკბილი ძილი მოგცეთ და კაი სიზმარი, მარა კარგად გახსოვდეთ, დილის სკეპინაზე აღრე უნდა აღგეთ. გახსოვდეთ, რომ ხვალ ტყუილი არ თქვათ, არ იჩხუბოთ, ერთმანეთს არ აწყეინოთ, ერთმანეთი არ გააწილოთ, დილის თოლები არ გაჯობოთ, თვართა მთელი წელიწადი მუცელი გეტეკივებათ. ა, აი, ხაჭაპურის ნატეხი შემოიდევით სახტუმალს და დილის, რავაც გეილვიძოთ, შაშინ ვე პირში ჩეიდევით, აფერმა გაჯობოს.

ასე გავისტუმრეთ ძეველი წელიწადი.

## II

ვათენებამდე კიდევ იქნებოდა საათზე მეტი, რომ გაგვა-  
ლების. ჩვენც მაშინვე პირში ხაკაპური ჩაფიცევით, სწრაფად  
ტანთ ჩავიცევთ. — აბა, ჩემრი, ბიჭებო, გავილოცოთ.

მამიმ დაიკირა ხელში დიდი გობი, ზედ ეწყო: ღორის  
თავი, ზაქარი, თაფლი, ლომი, კვერცხი, თეთრი. აბაზიანი, კამ-  
ფეტი და სხვა გობზე იყო მიწებებული ანთებული წყვილი. წმი-  
ნდა სანთელი. ჩემს უფროს ძმეს ეჭირა ხელში ჩიჩილაკი, მე  
კიდევ საღვინე ლვინით საფსე. ოჯაში დავტოვეთ მარტო ჭალა-



ბი, რომელთაც ჩვენს გამოსელაზე დაკარგების კარგბრძოს შემცირებისა  
მარანთან, სამჯერ შემოუარეთ მარანს და იმავე წესით მო-  
ვედით სახლის კარგბთან, მამა ჩემი შედგა და დაიძახა.

— კარი გამიღე!

— რა მოგაქვს?! მტკიცედ გამოეხმაურა დედა.

— წმინდა ბასილეს წყალობა: ოქრო, ვერცხლი, თვალ-  
მარგალიტი. კარი გამიღე!

— რა მოგაქვს?

ლვითისა და ბატონის წყალობა — კაცთა მშვიდობა, ჯანშ-  
როვლობა, კაი ყორიფელი. კარი გამიღე!

— რა მოგაქვს?..

— ცხენი, ძროხა, ღორი, ყორიფელი, ხაყოლი მსუყე მი-  
წის და ხის მოსივალი, ყორიფელი კაი. კარი გამიღე!

— მობრძანდი, ღმერთმა ბედნიერი, ქნას ცხენი მობრძანება  
და ცხენი ფეხი. იღება კარი, ჩვენც ვალ-გადახდილი მოწიწებით  
შევდივართ სახლში, ვდგამთ თავთავის ადგილის ყოველივეს.

ოჯახის ყველა წევრი მიღის გობთან, სახოვებით აკმეც  
ნატეხარზე საკმეველს, ავლებს თეთრ ვერცხლის ფულს ხელს.  
დედანიში გვიდებს პირში შექარს და გვეტნება:

— ასე ტკბილად და შექრად დამიბერდით! ყველა ვეხ-  
ვევით ურთი-ერთს და გულწრფელად ვკოცნით. ბებია ჩემი  
იღებს კოთხოთი ღომს, ამნეცს და ჩიფჩიფებს: — წმინდათ ბა-  
სილეო, გამირავლე შვილები და შვილის შვილები, უწყა-  
ლობე ამდენი ძროხა, ამდენი ცხენი, ამდენი ღორი, ამდენი  
ქათამი, ამდენი სხვილი შინაური საყოლი, ამდენი წელიწადი  
მშვიდობით და უკლისათ მიმყოფე ყველის კეთილის თავი!

— აბა, ბიჭებო! სხვისმა თოვება არ გვაჯობოს! მამა იღებს  
კედლიდან თოვს, უსინჯავს პირზე წამალს და ისერის. თოვის  
ბმას ჩვენც ვაყოლებთ მხიარულ ყიდინს. მამა კიდევ სტენავს  
თოვს და ვაექცს სათითოდ გვაძლევს სასროლიდ, რაც ძრიელ  
გვახარებს. მთელ სოფელში თოვების „გვახა-გუბია“.

ყველანი გამოვდივართ დერეფანში, ვიღებთ სათითოდ  
სამ-სამ ღერობით წინა დღით დამზადებულ ცხემლის (რცხი-

ლის) ტოტებს, შემოგვაჭეს და ვაყრით ცეცხლზე. როცა ცეცხლი გაძრიელდება, უჩინჩხვარებთ და ნაპერშეკლების დანახვას ვამბობთ,—ამდენი ძროხა, ამდენი ხარი, ამდენი ცხენი, ამდენი ქათამი და სხვა. გოგოები იღებენ მოკიდებულ რცხილის მუგუზალს და მიაქვთ საქათმეში (კარია გურულათ), საბარეში, საღორეში და საძროხეში. შემდეგ ვსხდებით სუფრაზედ და გიახლებით საუზმეს...

წირვის ზარი დარჩეუს. მივდივართ ეკელესიაში. ეკელესის კედლები თოფხანის მოგაგონებს: ვისაც-კი ჰქონდა თოფი, ყველას აქ წამოულია, თვითონ სალოცავად ეკელესიაში შესულა, თოფი-კი კედელზე მიუყუდებია. წირვის გათავების შემდეგ, „ასტუდა, ასტუდა თოფის სროლა“, ზოგი თოფს ისვრის, ზოგი დამბაჩას. ყურთა სმენა აღარ არის. ეკელესის გალავანი კომლშია გახვეული, სანაქებო „შელულია“. მეორე მეზობელ საყდარზედაც გაისმის „შელული“. შეიქნება ერთი მილოცვა, ხვევნა-კოცნა, თან ჰკოცნიან ურთიერთს, თან ვისალოცვეს უცვლიან. მაგალითათ: თუ ერთი კამფეტს მისცემს, მეორე ფორთოხალს ან სხვა ხილს და ისე მშ რიგად.

— ღმერთში მრავალი ახალი წელი გაგითენოს—შენიანებ, შენც მრავალს დაგასწროს! ქალები ცალკე ჯგუფად არიან, შათაც გაუჩალებიათ მილოცვა. მათთან მიღიან უფრო გაბედული კაცები და ულოცვენ, თუ ნათესავია ჰკოცნიან და თუ არა—ხელს ართმევენ.

— აბა, მომღერლებო, მეზობლებო, ყანური, ყანური ნადური სიმღერა ვთქვათ, დევიბედნიეროთ! განხე გავლენ სოფლის რჩეული მოსიმღერეები. ჯერ ნაზალ იწყებს დამწყები, მას მოძახილი მიშვევება, მოძახილს ბანის მთქმელებიც შემოგზუნებენ. პირველიც სიმღერა დაბილია, მკრთალია, გამეღულება და რისი აკლია, ასე გეგონება, რაღაც შეთქმულებაა, რომელსაც სიმღერით ხატავენო. თანდათან სიმღერა მძღავრდება, მეტს ძალის იკრებს და ბოლოს სიმღერის ხმა ძრიელ მაღალია, მოსიმღერეებს ძარღვები ეჭიმებათ და



სიმღერაც მქუხარე გმირთა იერიშით მისევის მუდგაჭორებულება „აბა იო, აბა იო“ და საერთო „ოხოხოით“ თავდება. სიმღერის გათავების კიდევ მოსდევს თოფების გრიალი.

— გის ამ დროს კიდევ! — იძახიან მოხუცებულები.

უველა თავთავის სახლში მიდის. უსხდებიან უხევილ გაწყობილ სუფრას და საღილს შეექცევიან. საღილის დროს თოფებს ისვრიან.

საღილს როცა მოკვრით, შემა ჩემი იღებს ხელში ცულს, ჩემი ძმი წილდს და თოხს და მიღიან ახლად გასაკაფ საყანე ადგილის ხელის მოსაკრიფიდ. ჩემულება იგრე იქ, თაღ წელს მუშა კაცი ყანაში ჩასვლას და იქ „ხელის მოკვრის“. ეს იგი მუშაობის დაწყებას დაიბეჭნიერებდა. ბავშებმა-კი გაისწიეთ სათამაშოდ და მთელი დღე სიკრწიალაზე (საქანელა) ვქანობდით.

მე რომ ამბავს მოგაბასენებთ, მაშინ გურიაში არ იცოდნენ ახალწელს ერთმანეთისას მისვლა და სტუმრობა. თუ ვინ-მე მოვიდოდა ოჯახში, ისიც მოწვევით, დაუდილის ბედნიერის ფეხისა.

აპ. გურული



## საოცნელი

## მუსიკალი

კუპრინისა

(ერეკ გერმან გრ. მალალაშვილი)



ს ამბავე მოცლილის აზ-  
როვნების ნაყოფი როდე  
არის.—ყოველივე, რასაც  
ვწერ, ნამდვილად მოხდა  
კიევში ამ ოცდა ათის წლის  
წინად და დღევანდლამდე  
წმინდად და ყოველ წერი-  
ლმანების გამოუკლებ-  
ლად დაცულია. იმ სახლო-  
ბაში, რომელსაც ეს ამბა-  
ვი შეეხება. მე ჩემის მხრით  
მხოლოდ სახელები შეც-  
ცალე ამ გულის მომწყვ-  
ლელ ისტორიის ზოგიერთ  
მომქმედისა და ზეპირ გად-  
მოცემის წერილობითი სა-  
ხე მივეცი.

— გრიშა, ჰით, გრიშა! ჰედავ გოჭსა... იცინის... სწო-  
რედ. მერე პირში რა აქვს!.. შეხე, შეხე... ბალახი აქვს პირ-  
ში, ლმერითმანი, ბალახი... აი თინი, ჰა! და ორმა ბავშვმა,  
რომელნიც საგასტრონომიო ბალახის დიდია და ერთიან შუ-  
შის ფანჯარასთან იდგნენ, გულიანი ხარხარი მორთეს, მუჯ-  
ლუგუნებს სცემდნენ ერთმანეთსა და ძალაუნებურად ცმუ-  
კავდნენ საშინელ სიციფის გამო. ბავშვები თითქმის ხუთის

წუთის განმავლობაში ტრიალებდნენ მაღაზიის წით, მართებული  
შიაც შვეენიერად გამოწყობილი იყო სანოვაგე, რაც ერთ-  
ნიშნავდ აღვიძებდა მათს გონიერასა და კუპს. კერში ჩამოკიდე-  
ბულ ლამპრის სინათლეზე მოსჩანდა მთელი მთები წითელ  
მაგარ ვაშლებისა და ფორთოხლებისა; პირამიდებიცით სწორად  
ამართული იყო მანდაჩინები, რომელიც ყველად გამოსკვითდა  
თხელ პაპიროსის სახვევ ქალალდში. დიდ თევზებზე დაწყობილი  
იყო უშნოდ ხახა-დაღებული და თვალებ-გაღმოკარკლული  
დამარილებული და ძმირში ჩადებული თვეზები; ქვემოდ მოს-  
ჩანდა მშვენიერი მსუქანი გაჭრილი ლორი, რომელსაც იჩველივ  
გრეხილივით ჰქონდა ძეხვები შემოვლებული... უანგარიში  
ქილები და ყუთები დამარილებულ, მოხარშულ და დაშაშეულ  
საუზმეულობით ამთავრებდა ამ თვალწირმტაც სურათს, რომ-  
ლის ცქერითაც ორმავე ბავშვმა ქრთის წუთით დაივიწყეს  
სორმეტ გრადუსიანი სიცივეცა და ის დიდად საჭირო მინდო  
ბილებაც, რაც დედამ დაავალა, —მინდობილება, რომელიც  
ასე მოულოდნელად და ასე სამწუხაროდ გათავდა.

— აბა, ვალოდია, წიმო, წიმო... არათერი მოხელე ვართ  
აქ...

პირში ნერწყვ-მორეულმა ბავშვებმა ერთხელ კიდევ გა-  
დაავლეს გაფაციული თვალები იქაურობას, გულშივე ჩა-  
იყლეს მწარე თხვრა (დილას იქეთ ცარიელ შეის მეტი არა-  
ურა ეყამათ. უფროსი ბიჭი ჯერ მხოლოდ ათის წლისა იყო);  
და მარდად გაიქცნენ ქუჩაში. ხან და ხან ამა თუ იმ სახლის  
ფანჯრების დაორთქლილ შუშებში ჰქედავდნენ შობის ხეს.  
რომელიც შორიდან ანთებულ, ბეკვრიალა წერტილების უზარ-  
ვაზარ მტკვნად ეჩვენ ებოდათ. ხან მხიარულ „პოლკას“ ხმე-  
ბიც შემოესმოდათ ხოლმე... მაგრამ ბავშვები გმირულად  
ეწინააღმდეგებოდნენ მაცდურ აზრს: შეჩერებულიყვნენ რმ-  
აენსამე წამს და თვალი მიეცაროთ ფანჯრის შუშისათვის.

რამდენიც უფრო შორს მიღიოდნენ, იმდენი უფრო შეკრი-  
დებოდა მგზავრთა რიცხვი და თვით ქუჩებიც უფრო და უფ-  
რო ბნელი ხდებოდა. მშვენიერი მაღაზიები, გაჩირალდნებუ-  
ლი შობის ხეები, ლურჯ და წითელ ბადეები გადაფარებული  
